თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 1

ქ.თელავი 18. 01. 2024 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თინათინ ხანჯალიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, რუსუდან იმერლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ანა ფეიქრიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს **ანა ფეიქრიშვილს** გაეკეთებინა განმარტება წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. **ანა ფეიქრიშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად ცვლილება ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ზრდას, კერძოდ თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოების მატებას ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში მერის წარმომადგენელი 2000 ლარი (არსებული სარგო-1900 ლარი;
სპეციალისტი -1200 ლარი (არსებული სარგო -900ლარი.

მერმა მიიღო გადაწყვეტილება რომ სპეციალისტებს უნდა ჰქონოდათ ღირსებული სახელფასო სარგო, ამავდროულად სპეციალისტსა და მერის წარმომადგენელს შორის სახელფასო სარგოს ოდენობა იყო მაღალი.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მისასალმებელია მათი მოტივაციის ასამაღლებლად.

გადაწყვიტეს: კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად, რათა მასზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო **გიგი გიგიტელაშვილმა.**

წინააღმდეგი: იმედა კევლიშვილი, რუსუდან იმერლიშვილი, ბაადურ გულიაშვილი.

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ. კომისიის სხვა წევრებს და დამსწრე პირებს შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს:კომისიის სხდომაზე ერთხმად მიზანშეწონილად იქნა მიიჩნეული, რომ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად, რათა მასზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი**